სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/27

ქ. თბილისი 3 აპრილი 2019

სტუ-ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-04/44 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3 აპრილის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:

1.1. **მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული** – მოეთხოვება არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ენერგიის ტრადიციული და არატრადიციული, განახლებადი

ენერგორესურსების (მზე, ქარი, თერმული წყლები, ბიომასა), ასევე ენერგოდაზოგვის პრობლემების კვლევის სფეროში;

1.2. **ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული** – მოეთხოვება არანაკლებ 5 წლის გამოცდილება არაორგანული ნივთიერებების (მათ შორის მინერალური სასუქების) და მცენართა დაცვის საშუალებების ტექნოლოგიების, ასევე წყლის რესურსების და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ეკოლოგიური პრობლემების კვლევის სფეროში;

1.3. **მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული** – მოეთხოვება არანაკლებ 5 წლის გამოცდილება სასოფლო -სამეურნეო წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების კვლევის სფეროში, ასევე აგრარულ სფეროში საკანონმდებლო აქტებზე მუშაობის გამოცდილება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**